განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი

04/03/2024

MES 4 24 0000262977

ბრძანება

თბილისი

2024-2025 სასწავლო წელს საჯარო სკოლის პირველ კლასში მოსწავლის ჩასარიცხად საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე რეგისტრაციისა და ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების წარდგენის ვადების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2023 წლის 26 დეკემბრის N524 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ლ“ ქვეპუნქტების, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის" მე-3 მუხლის მე-2 პუნქტისა და „სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავების მიზნით ინიციატივების/პროექტების წარმოდგენის წესისა და ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 15 იანვრის N28880 ბრძანების საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილის 2024 წლის 28 თებერვლის N233097 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საჯარო სკოლის პირველ კლასში მოსწავლის ჩასარიცხად საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე რეგისტრაციის და ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების წარდგენის ვადები (I ეტაპი) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის განისაზღვროს შემდეგი წესით:

ა) ელექტრონული რეგისტრაციისათვის - 2024 წლის 06 მარტიდან 2024 წლის 20 მარტის ჩათვლით პერიოდი;

ბ) დოკუმენტების წარდგენისათვის - 2024 წლის 21 მარტიდან 2024 წლის 26 აპრილის ჩათვლით პერიოდი.

2. საჯარო სკოლის პირველ კლასში მოსწავლის ჩასარიცხად საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ -

განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე რეგისტრაციის და ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების წარდგენის ვადად (II ეტაპი) 2024 წლის პირველი მაისიდან 2024 წლის 16 მაისის ჩათვლით პერიოდი განისაზღვროს იმ კატეგორიის მოსწავლეებისთვის, რომელთა:

ა) და-ძმაც სწავლობს ამ საჯარო სკოლაში;

ბ) მშობელი/მეურვე/მზრუნველი ამ საჯარო სკოლის თანამშრომელია;

გ) ოჯახიდან ერთდროულად ორი ან მეტი ბავშვი შედის პირველ კლასში.

3. საჯარო სკოლის პირველ კლასში მოსწავლის ჩასარიცხად საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე საყოველთაო რეგისტრაციის (III ეტაპი) ვადად იმ კატეგორიის მოსწავლეებისათვის, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ამ ბრძანების პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულ პირთა წრეს, განისაზღვროს 2024 წლის 20 მაისიდან 2024 წლის 13 ივნისის ჩათვლით პერიოდი.

4. საჯარო სკოლის პირველ კლასში მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების წარდგენის ვადად ამ ბრძანების მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მოსწავლეებისათვის განისაზღვროს 2024 წლის 14 ივნისიდან 2024 წლის 25 ივნისის ჩათვლით პერიოდი.

5. ამ ბრძანების პირველი - მე-4 პუნქტებით განსაზღვრულ ვადებში, მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ საჯარო სკოლის პირველ კლასში მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების საჯარო სკოლაში წარუდგენლობის გამო გამოთავისუფლებულ/თავისუფალ ადგილებზე (IV ეტაპი) მოსწავლის რეგისტრაციისა და საჯარო სკოლის პირველ კლასში მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების წარდგენის ვადად განისაზღვროს 2024 წლის 27 ივნისიდან 2024 წლის 12 ივლისის ჩათვლით პერიოდი.

6. დაევალოს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა
და ახალგაზრდობის მინისტრი

გიორგი ამილახვარი

ელექტრონულად
მზა ამ ფურცელი
ელექტრონულად